

სპორტის განვითარების ხელშეწყობის

ღონისძიებები

„სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის  
და სპორტული ინვენტარის განახლების“

პ რ ო ბ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

## **1. პროგრამის აღწერა და მიზანი**

საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია სპორტი. წლების მანძილზე საქართველოს წარმომადგენლები წარმატებას აღწევდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს არაერთ წარგზავნილს აქვს მოპოვებული ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები, გვყავს მსოფლიოსა და ევროპის მრავალი ჩემპიონი, პრიზიორი და რეკორდსმენი. აქტიურ სპორტში ჩაბმული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, 1992-2002 წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა სიტუაციამ დიდი უარყოფითი გავლენა იქონია სპორტული ობიექტების მდგომარეობაზე, მოძველდა ბაზების მოწყობილობები, უმეტესი მათგანი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მთელი რიგი სპორტსმენები და ნაკრები გუნდები მზადებას გადიან უცხოეთის ქვეყნების სპორტულ ცენტრში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები უჯდება სახელმწიფოს. ამავე დროს აღნიშნულ პერიოდში რადიკალურად შემცირდა სპორტით დაკავებული მოსახლეობის რაოდენობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პროგრამის რეალიზაციას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სპორტის შემდგომ განვითარებას, გაზრდის სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენების პროპაგანდას. ამავე დროს პროგრამის მოთხოვნების შესრულება განაპირობებს სპორტსმენტთა შედეგების მატებას, გააუმჯობესებს სპორტული ობიექტების მდგომარეობას, წვრთნის და შეჯიბრებების ნორმალურ პირობებს შეუქმნის ქვეყნის წამყვან სპორტსმენტებს.

საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საპროექტო, სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, საქართველოს ქალაქებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური სპორტის სასახლეების და სტადიონების მშენებლობა.

სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის, სპორტული და სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, მუნიციპალიტეტებისათვის თანამედროვე სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შექმნა.

პროგრამის ობიექტია საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობა, მოქმედი და პერსპექტიული სპორტსმენები, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო ფაქტიურად დაიკარგა ოლიმპიური მზადების ძირითადი ცენტრები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. შედეგად ჩვენი ნაკრები გუნდების მომზადება მიმდინარეობს ან საზღვარგარეთ ან ძალზე რთულ პირობებში.

ჩვენი სპორტსმენების სპორტული ფორმა, მათი სპორტული ინვენტარი არ შეესაბამება მინიმალურ თანამედროვე მოთხოვნებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც მოითხოვენ რთულ ტექნიკურ ინვენტარს. კერძოდ: მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, სროლის სახეები, თანამედროვე ხუთჭიდი, კრივი, ბატუტზე ხტომა, ფარიკაობა და სხვა. მოსაწესრიგებელია ეროვნული ნაკრები გუნდების ერთიანი სპორტული ფორმებით უზრუნველყოფის საკითხებიც.

## **2. პროგრამის შესრულების ვადები**

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017.

დამთავრება-31.12.2017.

### **3. საერთო ღირებულება**

პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს 32 000 000 ლარს.

### **4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

### **5. მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები**

სპორტული ინვენტარის განახლება და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის განვითარებას, დიდი სპორტული ტრადიციების აღდგენას, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევას. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. თაობების გაჯანსაღებასა და ფიზიკურ აღზრდას.

#### **ინდიკატორები:**

- რეაბილიტირებული და აშენებული სპორტული ობიექტების რაოდენობა;
- დაპროექტებული სპორტული ობიექტების რაოდენობა;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების, სპორტული კლუბებისა და სექციების რაოდენობა.